



# შეამცირეთ ენერჯის მოხმარება თქვენს სახლში

ენერგოეფექტურობა წარმოადგენს პრიორიტეტულ სფეროს ევროკავშირისთვის, რომელიც აფინანსებს მთელ რიგ ინიციატივებს ენერჯის მოხმარების შესამცირებლად აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში.

ენერგოეფექტურობა სახლიდან იწყება. ბევრი საშუალება ძალიან იაფი ან საერთოდ უფასოა, მაგრამ ძალიან გიზოგავთ ენერჯიაზე გაწეულ ხარჯებს.



## ზოგიერთი მარტივი დაბალფასიანი ხერხი



გამორთეთ ტელევიზორი და სხვა მოწყობილობები შტეფსელის როზეტიდან – ელექტროხელსაწყოები „სტენდ-ბაის“ რეჟიმში საკუთარი ენერჯის 75%-ს იყენებენ.



შეცვალეთ ნათურები მანათობელი დიოდური (LED) ნათურებით განათების ხარჯების 40%-მდე დაზოგვის მიზნით. ისარგებლეთ ბუნებრივი დღის სინათლით როდესაც შესაძლებელია.



გარეცხეთ ტანსაცმელი უფრო დაბალ ტემპერატურაზე - სარეცხის მანქანები ენერჯის 90%-ს წყლის გაცხელებაზე ხარჯავს.



ზამთარში მჭიდროდ დახურეთ კარები და ფანჯრები და დააკარით ირგვლივ წებოვანი ლენტის სითბოს 11% დანაკარგის თავიდან ასაცილებლად.



ნუ მოათავსებთ რადიატორის წინ რაიმე საგნებს/დაბრკოლებებს, რადგან ისინი შთანთქმავს სითბოს.



ზაფხულში ჩამოუშვით ფანჯრებზე ფარდები სიგრილის შესანარჩუნებლად, ჰაერის კონდიციონერის გამოყენების ნაცვლად.



მიიღეთ შხაპი აბაზანის ნაცვლად და დაზოგეთ 60% ცხელი წყლის გამოყენებისას.

\* მოყვანილი რიცხვები საშუალო რიცხვებია და ამიტომ ენერჯის აღნიშნული დანაზოგები განსხვავებული იქნება.

